

ბიზნესისა და  
ტექნოლოგიების  
ინოვაციები

# NEWSLETTER

დამკვეთი

|

ინვესტიციები

|

მომავალი

2023-2024

## EU-ს დაფინანსებით BTU ქალთა ტექნოლოგიებში გაძლიერების 1-მილიონიან პროექტს იწყებს

ევროკავშირისგან 1 მილიონი ევროს დაფინანსებით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ქალთა გაძლიერების პროექტს იწყებს. პროექტის "ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში" ფარგლებში სამ ნაკადად 1100 ბენეფიციარი გადამზადდება. მასში 320 მენტორი ჩაერთვება. მენტორობის სესიები ხუთ სხვადასხვა ტექნოლოგიურ მოდულში გაიმართება. ესენია: კიბერუსაფრთხოება, Front-end დეველოპმენტი, გრაფიკული დიზაინი, ციფრული მარკეტინგი და UX/UI დიზაინი.

## BTU iOS LAB Apple-ის ავტორიზებული სასწავლო ცენტრი გახდა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი Apple-ის ავტორიზებული სასწავლო ცენტრი გახდა და მიენიჭა სახელი „Apple-ის ავტორიზებული ტრენინგ ცენტრი განათლებისთვის“ (AATCE).

სასწავლო ცენტრები, რომლებიც Apple-ს სხვადასხვა ქვეყანაში აქვს, ვალდებული არიან უზრუნველყონ ლექტორებისა და სტუდენტებისთვის უმაღლესი ხარისხის განათლების მიწოდება. პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები კი საგულდაგულოდ არის შერჩეული Apple-ის სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობა, აკადემიური პერსონალი, სასწავლო კურსები და ინფრასტრუქტურა.

## ClassroomAI

BTU-ს სტუდენტების ჩართულობით, სასწავლო პროცესების მართვის სისტემისთვის, შემუშავდა AI ასისტენტი (ჩათბოტი), რომელიც სატესტო რეჟიმში უკვე მუშაობს. ClassroomAI სტუდენტს დაეხმარება სწრაფად და მარტივად მიიღოს პასუხი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

## BTU-მ ახალი კამპუსის მშენებლობა დაიწყო

ჭავჭავაძის გამზირზე არსებული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ახალი კამპუსის მშენებლობა დაიწყო, რომელიც გააერთიანებს მრავალფუნქციური სივრცეებს, ახალი ლაბორატორიებს, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ აუდიტორიებს, მინისქვეშა პარკინგს და სხვა მულტიმედია ოთახებს.

ახალი ინოვაციური პროგრამები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, უპრეცედენტო ინიციატივები ხელოვნური ინტელექტისა თუ სხვა ტექნოლოგიების სფეროებში - ყოველივე ეს, 2025 წლიდან, BTU-ს ახალ კამპუსში განხორციელდება.

## BTU-ში ყველაზე მასშტაბური სტუდენტური AI ჰაკათონი გაიმართა

BTU-ს მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ჰაკათონში საქართველოს 22 უნივერსიტეტის სტუდენტებისგან დაკომპლექტებული 116 გუნდი მონაწილეობდა, ჯამში 350 ზე მეტი სტუდენტი.

მეორე ტურში კი 18 გუნდი და 65-მდე სტუდენტი გადავიდა.

ჰაკათონის ფარგლებში სტუდენტებმა შექმნეს ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილებები, რომელიც შემდეგ საგანმანათლებლო სექტორში დანერგეს, შემდეგ კი, იდეები და შექმნილი გადაწყვეტები ჟიურის და ტექნოლოგიური კომპანიების წინაშე წარადგინეს.

ჰაკათონის საპრიზო ფონდი 20 000 ლარს შეადგენდა, რომელიც 3 გამარჯვებულს შორის განაწილდა.

## ახალი საბაკალავრო პროგრამა AI-ს მიმართულებით

BTU-ს ახალი საბაკალავრო პროგრამის კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის განხორციელების დაწყება 2024-2025 სასწავლო წელს არის დაგეგმილი. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის აკრედიტაცია, რასაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ სტუდენტების პირველი ნაკადის მიღება მოჰყვება.

## AI LAB-ის სტუდენტური ფორუმი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის AI Lab-ის ბაზაზე შეიქმნა AI LAB-ის სტუდენტური ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების განვითარებას ცალკეული ინდუსტრიებისთვის, ახალი ინოვაციური პროდუქტების შექმნას, AI-ს შესაძლებლობების ეთიკურად და უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქვეყნის ციფრული ეკოსისტემის განვითარებაში წვლილის შეტანას.

## Junior Tech-ის პროგრამა იუსტიციის სამინისტროსთან პარტნიორობით

სილიკონ ველი თბილისისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) ერთობლივი ინიციატივით, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით და მათივე დაფინანსებით დაიწყო 5 თვიანი საგანმანათლებლო პროგრამა „Junior Tech - ციფრული წიგნიერება ახალგაზრდების ინტეგრაციისა და განვითარებისთვის“.

## ციფრული ეკოსისტემის დაიჯესტი

საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა შემოდგომის ანგარიშზე, რომლის თემაც გახლდათ: “AI სტარტაპების ეკოსისტემა საქართველოში”. ანგარიში ასევე ითარგმნა ინგლისურ ენაზე და ოფიციალურად გამოქვეყნდა დეკემბრის დასაწყისში.

## ლექტორების აკადემია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რომელთაც აკადემიური საქმიანობის სურვილი აქვთ, BTU-მ სპეციალური აკადემია დააფუძნა.

სწავლების მეთოდები, სილაბუსის დიზაინი, სწავლებისთვის საჭირო რესურსების შერჩევა და განსაზღვრა, ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში და სხვა საკითხები, ლექტორების აკადემიაში, დარგის სპეციალისტებისთვის, დამატებით კვალიფიკაციის ასამაღლებლად არის შეთავაზებული.

## BTU AI GPTstore-ზე უკვე ვერიფიცირებული და ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის.

## პარტნიორობა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის სტრატეგიული ცოდნის პლატფორმასთან

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი პირველი ქართული ინსტიტუციაა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტრატეგიული ცოდნის პლატფორმას (Strategic Intelligence Platform) რეგულარულ რეჟიმში აწვდის კვლევებს და ხელს უწყობს საქართველოს პოზიციონირებას ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი რუკის საშუალებით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, სტრატეგიული ცოდნის პლატფორმის სტანდარტის და ფორმატის შესაბამისად, პლატფორმაზე თავსდება კვლევითი ანგარიშები, სტატიები, ანალიზი, სხვადასხვა ტიპის მაღალი ხარისხის ანალიტიკური მასალა, რომელიც შემდგომ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ანალიზის და ანგარიშის საფუძველი გახდება.

## **გადამზადების პროგრამები, ვორქშოფები, საინფორმაციო შეხვედრები, მასტერკლასები და შესაძლებლობები/აქტივობები სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და ბენეფიციარებისთვის:**

- Check Point-ის საინფორმაციო სესია და კიბერუსაფრთხოების ტრენინგი BTU-ს სტუდენტებისთვის;
- რობოტიქსის ვორქშოფი IT სტუდენტებისთვის;
- ლა კორუნიას უნივერსიტეტის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის შესაძლებლობა; (ესპანეთი)
- სეულის ეროვნული უნივერსიტეტის საპრეზიდენტო სტიპენდიები;
- Summer Program TELSP 2024;
- მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა Sustainable Lifestyles შესახებ;
- Renewable Energy and Sustainable Development Webinar;
- EUA call for applications to join the 2024 Learning & Teaching Thematic Peer Groups;
- The RIPE Academic Cooperation Initiative (RACI) Scholarships;
- EUMMAS A2S Conference on Global Social and Technological Development and Sustainability, Bucharest 2024;
- KIRKLAND Research scholarships;
- Seminars on Sustainable Development;
- სტუდენტებისთვის გამოცხადდა სტუდენტური კონკურსები გაცვლით პროგრამებზე 23 პარტნიორ უნივერსიტეტში;
- ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 23 პერსონალის მობილობა;
- დაიგეგმა და გამოცხადდა სტუდენტური კონკურსები ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებზე 49 ევროპულ უნივერსიტეტში;
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ბტუ-ს აკადემიურ პერსონალთან ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების საგრანტო კონკურსების და კვლევების დაფინანსების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით;
- საბიბლიოთეკო პროდუქტებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენების ტრენინგები მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის;
- ტრენინგები სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობების შესახებ- დოქტორანტების, ასოცირებული პროფესორებისა და დაინტერესებული აკადემიური პერსონალისთვის;
- BTU-ში ვორქშოფი - Agile რეტროსპექტივაში ჩატარდა;
- როგორ მოვიპოვო GITA-ს რეგიონური გრანტი? საინფორმაციო შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა;
- BTU-ში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: E-commerce მაღაზიის შექმნა;
- GITA-თან თანამშრომლობით MIT - Massachusetts Institute of Technology-ის სტუდენტებმა ხელოვნური ინტელექტის, მანქანური სწავლებისა და განმამტკიცებელი დასწავლის მიმართულებით ვორქშოფი BTU-ში ჩაატარეს;
- BTU-ში ჩატარდა მასტერკლასი თემაზე: კრიპტოსამყარო და ბლოკჩეინი ინდუსტრიებში;
- BTU-ში ჩატარდა პანელური დისკუსია: კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში;
- ვორქშოფი თემაზე: როგორ შევქმნა iOS აპლიკაცია და განვათავსო APP Store-ზე?;
- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა სააგენტოსთან აწარმოე საქართველოსთან პარტნიორობით;

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა - თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, ექსპორტთან დაკავშირებული ბარიერები და საერთაშორისო სტანდარტები;
- BTU-ში ახლო აღმოსავლეთის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოპოლიტიკის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართა;
- მარკეტინგის სამსახურის ინიციატივით BTU AI LAB-ის ფარგლებში სტუდენტურ ფორუმი შეიქმნა. სტუდენტური ფორუმი აერთიანებს საქართველოს მასშტაბით ყველა უნივერსიტეტის სტუდენტს საერთო AI “Community“-ის შექმნის მიზნით. სტუდენტური ფორუმის ფარგლებში უკვე დაანონსდა პირველი შეხვედრა, რომელიც ქართული ენის მოდულების ინტეგრირებას, განვითარებას ეთმობა;
- მარკეტინგული ინოვაციების ლაბის ფარგლებში ჩატარდა პანელური დისკუსია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მარკეტინგში და მომავლის მარკეტინგი.
- კორდობას უნივერსიტეტის (ესპანეთი) აკადემიურ პერსონალს. ვიზიტის ფარგლებში BTU ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის ჩატარდა უცხოელი პროფესორის საჯარო ლექციების სერია;
- ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (გერმანია) დელეგაციას. ვიზიტის ფარგლებში ევროპელმა პარტნიორებმა მონაწილეობა მიიღეს ახალი საბაკალავრო პროგრამის - კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის აკრედიტაციის პროცესში;
- Exadel-ისა და BTU-ს ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი "Individual Mentorship Opportunity", სადაც BTU-ს 10-მა სტუდენტმა, 3 თვის განმავლობაში JavaScript-ის მიმართულება ინდივიდუალური მენტორშიფი გაიარა.

## **მიმდინარე საერთაშორისო პროექტები და აქტივობები BTU-ში**

- Hoziron Europe;
- ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - 3E-Partnership;
- ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - HEIn4;
- ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტი - EU-Energy-SSDP;
- კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის;
- USAID დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის პროგრამა;
- Women in AI;
- Do IT in Georgia;
- Hackathon and ICT-based Innovative Methodologies in Higher Education პროექტი;
- Junior Tech-ის პროგრამა UNICEF-თან პარტნიორობით;
- Design Thinking as a method of soft skills and digital skills development in higher education to increase employability - Erasmus+ KA220 – HED;
- NCURA-ს რეგიონული სამხრეთ კავკასიის და უკრაინის ინიციატივა;
- ENRICH GLOBAL;
- ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA).

## ახალი საერთაშორისო პროექტები BTU-ში

Erasmus Mundus Design Measure - AI4Cybersec ევროკავშირის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით;

University Capacity Building Program Phase II - საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით;

IMMERSIVE LEARNING METAVERSE - iMERGE-ის პროექტი DAAD-ის დაფინანსებითა და მხარდაჭერით.

უნყვეტი განათლების პროგრამაში ჩაერთო 25 კურსდამთავრებული, მათ მიერ არჩეული კურსების ჯამური რაოდენობა - 53;

BTU-ს აკადემიური პერსონალის მიერ ბტუ-ს სახელით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა 5 სამეცნიერო ნაშრომი, აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 3 საერთაშორისო და 5 ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებაში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი პარლამენტის კვლევების ცენტრთან ერთობლივად ახორციელებს კვლევას „STEM შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში - განათლების, შრომის ბაზრის და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი“.

## მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის

BTU-ს მასშტაბური პროექტის “BTU მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის” ფარგლებში სრული დაფინანსებით მიმდინარეობს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელი პროგრამა, ჩატარდა არაერთი ტრენინგი, შეხვედრა და მასტერკლასი. მიმდინარეობს მაგისტრანტობის კანდიდატებთან ინდივიდუალური კონსულტაცია. სევე დაინტერესებული კანდიდატებისთვის დაგეგმილია შიდა გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები, გადამზადება ინგლისურ ენაში, პანელური დისკუსიები, შეხვედრები სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან.

## აბიტურიენტებისთვის

BTU-ს პროექტის “BTU აბიტურიენტებისთვის” ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი მოდულები, მათემატიკის კონკურსი მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, ტრენინგები ციფრულ მარკეტინგსა და სხვადასხვა მიმართულებებით, ინდივიდუალური კონსულტაციები, სწრაფი ჭადრაკი და სხვა აქტივობები აბიტურიენტებისთვის სრული დაფინანსებით გაიმართება და მასში მონაწილეობა წინასწარ რეგისტრირებულ ნებისმიერ მსურველს შეეძლება.